გარეჯის მცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(201) 2019 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 1 ლარი

მართლმადიდებლობა 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობაა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 14 ოქტომბერს "კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისას" დღესასწაულს აღნიშნავს. სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში სადღესასწაულო ღვთის მსახურება აღევლინება. სვეტიცხოველში ამ დღეს, ასევე, წმიდა მოციქულთა სწორის მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას (IV), წმიდა სიდონიასა და აბიათარის (+IV) ხსენებაც აღინიშნება.

"ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ გაფანტული ებრაელთა ერთი ნაწილი, როგორც ამას "ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, ქართლში მოვიდა და მცხეთელ მამასახლისს სთხოვა, მათთვის საფასურით საცხოვრებელი მიეცა. მცხეთელმა მამასახლისმა ებრაელებს სამოსახლო გამოუყო.

გავიდა დრო. ბეთლემში იესო ქრისტე დაიბადა. როდესაც მისი დაბადებიდან 30 წელი გავიდა, ერთ დღეს მცხეთაში იერუსალიმელი ებრაელებისა და მღვდელმთავარ ანას მიერ გამოგზავნილი მოციქულები მოვიდნენ და თანამემამულეებს აცნობეს, რომ ის, ვისთვისაც მოგვები ჩავიდნენ ბეთლემში, გაიზარდა და საკუთარ თავს ღვთის ძეს უწოდებს. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლე ებრაული თემიდან რჯულის მეცნიერებს (ებრაულ სარწმუნოებაში, იუდაიზმში განსწავლული პირები) მოუწოდებდნენ, იერუსალიმში იესოს ჯვარცმას დასწრებოდნენ. მართლაც, მცხეთიდან იერუსალიმში ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი გაემართნენ. ელიოზ მცხეთელს გამგზავრების წინ დედა შეევედრა, ნუ გახდებოდა იესოს ჯვარცმის თანაზიარი, ვინაიდან იგი უდანაშაულო იყო; რომ წინასწარმეტყველები და ბრძენი ხალხი ოდითგან სწორედ მასზე საუბრობდა.

ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი გაემართნენ იერუსალიმისაკენ, სადაც დაესწრნენ უფლის ჯვარცმას. და როდესაც მაცხოვრის ჯვარზე მისამსჭვალად სამსჭვალს, ანუ ლურსმანს ჩაქუჩი დაჰკრეს, დაკვრის ხმა ელიოზის დედას მცხეთაში ჩაესმა. ქალმა შეჰკივლა და სული განუტევა. ჯვარცმის შემდგომ მცხეთელ ებრაელებს წილად ერგოთ უფლის კვართი. წამოიღო კვართი ელიოზმა. მცხეთასთან მას და, სიდონია მიეგება, გამოართვა სიწმინდე, ჩაიხუტა გულში და სული განუტევა.

სიდონიას მაცხოვრის კვართი ისე ძლიერად ჰქონდა მკერდში ჩაკრული, რომ შეუძლებელი გახდა სიწმინდის გამოცლა. ელიოზმა საკუთარი და კვართთან ერთად დამარხა.

გავიდა ხანი. კვართის დაფლვის ადგილი სარწმუნოდ არავინ იცოდა. კვართისა და ელიოზის დის საფლავის შესახებ მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ მის მახლობლად ლიბანიდან ჩამოტანილი და მცხეთაში დარგული ნაძვი იდგა და ხარობდა. სვეტიცხოველიკვართმა და იმ ქვეყნის ქრისტიანობაზე მოქცევის სურვილმა, სადაც იგი იყო დაფლული, წმ. ნინო IVს-ში იერუსალიმიდან მცხეთაში მოიყვანა.

ქართველთა გაქრისტიანება წმ. ნინომ მცხეთაში კერპების – არმაზის, გაცისა და გაიმის შემუსვრით დაიწყო. კერპების შემუსვრის შემდეგ კლდის ქიმთან ხის ქვეშ ექვსი დღე ილოცა, მეცხრე დღეს ჩამოვიდა ქალაქში და მიადგა სამეფო ბაღს. იქ მებაღე და მისი ცოლი მოაქცია და ცხრა თვე მათთან იცხოვრა. ამის შემდეგ ქალაქის გარეთ იპოვა მაყვლოვანი (მაყვლის ბუჩქი), სადაც დღეს სამთავროს დედათა მონასტერია და მონაზვნური წესით ცხოვრება დაიწყო. ხშირად მიდიოდა მცხეთაში, ურიათა უბანში. უნდოდა გაეგო, სად იყო დაფლული მაცხოვრის კვართი. წმ. ნინომ რამდენჯერმე ნახა ერთი და იგივე სიზმარი: ციდან მოფრენილი შავი ფრინველები ჩაფრინდებოდნენ მდინარეში, განბანილები და გათეთრებულები შეფრინდებოდნენ სამოთხეში, მაღლარ ვაზს (მაღალ ხეზე ასული ვაზი) მოკენკავდნენ, „მოსძოვდნენ ყვავილთა" და სიყვარულით, ჟივილ-ხივილით გარს ეხვეოდნენ წმ. ნინოს.

როდესაც მირიან მეფე გაქრისტიანდა, მან სამეფო ბაღში ტაძრის აგება გადაწყვიტა. მართლაც, სამეფო ბაღში მოჭრეს ნაძვი, რომლიდანაც 7 სვეტი გამოთალეს. როდესაც ხის კედლები ამოიყვანეს, თავ-თავის ადგილზე მოათავსეს ექვსი ძელი. მეშვიდე, ყველაზე დიდი და საკვირველი, რომელიც ეკლესიის შუა საყრდენად, დედაბოძად იყო განკუთვნილი, ვერ აღმართეს, ვერ დაძრეს ადგილიდან. ეს ამბავი ყველას უკვირდა.

საღამოს მეფე მირიანი დაღონებული წავიდა სასახლეში. წმ. ნინო მოწაფეებთან ერთად სვეტთან დარჩა და ცრემლით ლოცულობდა. შუაღამე რომ დადგა, ბოროტმა, ეშმაკმა მრავალი საშინელი ხილვა, ჩვენება მოუვლინა მლოცველებს. წმ. ნინომ ჯვარი გადასახა უკეთურ ჩვენებებს და ყველა მათგანი გაქრა. დაისადგურა სიმშვიდემ. წმიდანის მოწაფეები მადლობას უძღვნიდნენ ღმერთს. ინათა დედებს მიეძინათ. მოწაფეთაგან მხოლოდ სიდონიას ეღვიძა, ხოლო წმ. ნინო ხელაპყ-

დასასრული მე-7 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი კახეთის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ ორგანიზაციებთან შეხვედრები განაგრძო.

პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი კახეთის საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, სამომავლო გეგმებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე იმსჯელეს.

შეხვედრას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" აღმასრულებელი მდივანი **ირაკლი კობახიძე**, რეგიონული მდივანი **დიმიტრი სამხარაძე,** პარლამენტის დეპუტატები: **დავით მათიკაშვილი, დავით სონღულაშვილი, ირაკლი შიოლაშვილი, გელა სამხარაული, გურამ მაჰარაშვილი, რომან მუჩიაშვილი,** რეგიონულ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი **სოზარ სუბარი,** კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **ირაკლი ძადაგიშვილი,** კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და პარტიის აქტივი ესწრებოდნენ.

პარტიის ცენტრალური ოფისიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი გია ბენაშვილი და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თედო ისაკაძე.

ჩვენ ვაბრძელებთ გუნდურ მუშაობას

საერთო მიზნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. ჩვენ ვიბრძვით წარმატებული მომავლისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის, თითოეული მოქალაქის პრობლემის გადაჭრისა და გამოსწორებისთვის. არ ვუშინდებით კრიტიკას, რადგან ვინც ქმნის, ის იმსახურებს გარკვეულ შეფასებებს საზოგადოების მხრიდან და ჩვენ ნამდვილად ვიღწვით ძლიერი ოჯახების, ძლიერი სოფლის, ძლიერი რაიონისა და ძლიერი სახელმწიფოს აღშენებისთვის!

ბოლო ორი წლის მანძილზე, საგარეჯოს მინიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი მათ შორის რამდენიმე საუკუნის ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ, უამრავი დახმარება გავუწიეთ სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ადგილობრივ მოსახლეობას, წარმატებით დაინერგა და მუშაობს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო- უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. ვაშენებთ სკოლებს, ამბულატორიებს, სასწრაფო- სამედიცინო მომსახურების ცენტრებს, გზებს, ბაღებსა და კიდევ ბევრი გეგმა გვაქვს, რომელიც უახლოეს მომავალში აუცილებლად განხორციელდება. რა თქმა უნდა, არსებობს მასშტაბური საჭიროებები მაგალითად, წყლის პრობლემა, რომლის გადაჭრისთვის 2020 წლის ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხაა გათვალისწინებული.

მერიაში 24 საათიან რეჟიმში მოქმედებს სატელეფონო ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დარეკვა, აზრის გამოხატვა, პრობლემის დაფიქსირება. სოციალური ქსელით ვიღებთ შეტყობინებებს და სწრაფი რეაგირების რეჟიმში ვაწვდით მოსახლეობას ინფორმაციას.

ვმართავთ მოსახლეობასთან გეგმიურ შეხვედრებს, ადგილზე ვეცნობი მათ პრობლემებს და თავად ვაკონტროლებ შეხვედრისას დასახელებული საჭიროებების გადაჭრის ეტაპებსა და შედეგებს.

ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციის რეჟიმში.

კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავჯდომარესა და მთელ გუნდს ნდობისთვის, მადლობა ჩემს აღგილობრივ მოსახლეობას მხარდაჭერისთვის!

მადლობა ჩემს მოადგილეებს-ალექსი გილაშვილსა და შოთა კაკაბაძეს-დაუღალავი შრომისთვის!

არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ-თქვენს გვერდით მიგულეთ, ერთად ყველაფერს შევძლებთ!

გიორგი ერგოზონაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მორიგი სხდომა

27 სექტემბერის, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა. დღის წესრიგის კენჭისყრის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა**, როგორც მან განმარტა, დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შემცირებით, ნაშთის გამოყენებით საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტით შემცირდება 55,461 ათასი ლარით, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით ასევე შემცირდება 55,461 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს №1868 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 54,987 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019წლის 21 აგვისტოს №1867 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებაში და სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 474 ლარით.

ნაშთის გამოყენებით 50 ათასი ლარით გაიზრდება გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე.

შესაბამისად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხით:

1) ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩაზე წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები - 35022 ლარით;

2) ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები - 8930 ლარით;

3) ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოები - 11035 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა - სოფელ დიდ ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცის სამუშაოები 474 ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით:

კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული ეკონომია (ქ.საგარეჯოში, იმედის ქუჩაზე 4 კორპუსის სახურავების რეაბილიტაცია და ორი კორპუსის ეზოში ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხა) 16000 ლარი უნდა დაემატოს სოციალურ პროგრამას, კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების ქვეპროგრამის სოციალური უზრუნველყოფის მუხლს მომსახურე სამედიცინო დაწესებულებების დავალიანების დასაფარად.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) უნდა დაფინანსდეს:

საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება -50 000 ლარი (საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია).

დღის წესრიგის II საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა*** **მადლენა სამუნაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორცილებული ცვლილებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოებს დაევალათ ნორმატიული აქტის გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება ამ კოდექსის 771 და 772 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურული წესები, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე პირები;

პროექტის მიზანია, საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონე-

დასასრული მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

1 ოქტომბერი, 2019 წ

.**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერბოწონაშვილი** უძღვებოდა. თათბირი რთვლის მიმდინარეობის მიმოხილვით დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან მუშაობის განყოფილების უფროსის ივანე ფანოზიშვილის ინფორმაციით მუნიციპალიტეტში 29 სექტემბრის მონაცემებით 545 ტონა იყო მოკრეფილი, ხოლო 30 სექტემბერს – 585 ტონა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა გააკეთა ინფორმაცია იმ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ, რომლებმაც ფუნქციონირება დაიწყეს და შესაბამისად დიდი რიგებიც არ არის ჯერჯერობით.

თათბირი გაგრძელდა სოფლების სასმელი წყლით მომარაგების საქმეში შექმნილი პრობლემების წინა პლანზე წამოწევით. კიდევ ერთხელ დეტალურად იქნა მიმოხილული ის შესაძლებლობები, რომელთა ხორცშესხმით მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში დღეს არსებული პრობლემები აღმოიფხვრება.

8 ოქტომბერი, 2019 წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე*** **ლექსო ბილაშვილი** უძღვებოდა. როგორც თათბირის დასაწყისში გაირკვა, უახლოეს ხანში უნდა მოხდეს სასმელი წყლების სათავე ნაგებობების გაწმენდა, რისთვისაც საჭიროა ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ამიტომ მერის წარმომადგენლებისგან მოსმენილ იქნა ინფორმაცია სოფლებში არსებული სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების მდგომარეობის შესახებ.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მორიგი სხდომა

27 სექტემბერის, 2019 წელი

დასასრული

ბასა ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დონის გაზომვისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 771 და 772 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა.

დღის წესრიგის III საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2019-2020 წლებში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონების თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ბექა ფეიძრიშვილმა.***

როგორც მან აღნიშნა, მომავალ, 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება:

1 ქ. საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა. პროექტის სრული ღირებულებაა 118 640 ლარი; საიდანაც რგფ-დან 112 708 ლარი იქნება გამოყოფილი, ხოლო თანადაფინანსება 5 932 ლარი იქნება. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადებია: 20.01.-15.06.2020

2 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (პალდო, წიწმატიანი, დუზაგრამა, თულარი, კაზლარი, ლამბალო, ქეშალო და იორმუღანლო) 1000 კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარის მოწყობა. პროექტის სრული ღირებულებაა 1 300 000 ლარი. რგფ-დან გამოყოფილი იქნება 1 235 000 ლარი, ხოლო თანადაფინანსება 65 000 ლარი იქნება. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადებია: 20.01-15.06.2020

3 სოფ. თულარსა და კაზლარში სასმელი წყლის მაგისტრალისა და საუბნო ონკანების მოწყობა. (110 000 ლარი). რეგიონული განვითარების ფონდიდან 104 500 ლარი, ხოლო თანადაფინანსება 5 500 ლარი იქნება. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადებია: 20.01.-15.06.2020წ

4 ქ. საგარეჯოში, ზაზა ქურხულის სახელობის ქუჩის მოასფალტება –100 000 ლარი. რეგიონული განვითარების ფონდიდან ამ პროექტის განხორციელებისათვის 95 000 ლარი იქნება გამოყოფილი, ხოლო თანადაფინანსება 5 000 ლარი იქნება. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადებია: 20.01.-15.06.2020

5 ქ. საგარეჯოში, თამარ მეფის ქუჩაზე, “ლიბერთი ბანკი”-ს მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტებისთვის – 100 000 ლარი იქნება საჭირო. რეგიონული განვითარების ფონდიდან 95 000 ლარი გამოიყოფა, თანადაფინანსება 5 000 ლარი იქნება. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადებია: 20.01.-15.06.2020

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი, მაგრამ მანავის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნიკო გიუაშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ მან რამდენჯერმე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა თხოვნით, – მოეწესრიგებინათ სოფლის მთავარი ცენტრალური უბანი, მაგრამ დღემდე მოუწესრიგებელია. მართალია, განხორციელდა 30 წლის წინ დაწყებული პრობლემა – მოასფალტდა „ტურის უბნის“ გზა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას, მაგრამ აღნიშნულ უბანსაც უნდა მიეხედოს.

ინფრასტრუქტურა-2019

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში, შიდა საავტომობილო გზაზე მსხვილმარცვლოვანი ფენით მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ გომბორში სსიპ “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი”-ს (სასწრაფო სამედიცინო დახმარების) შენობის მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 214 849 ლარით ფინანსდება.

მოსახლეობის იმედად, მოსახლეობის დასაცავად

სამსახური და ადამიანები, ვისაც დიდმნიშვნელოვანი მისია აკისრია

***საქართველოს** შს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებათა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების მუშაკების მიერ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სხვა პირების ხანძრებისა თუ სხვა ძნელბედობისას აღმოჩენილი დახმარების თუ ამაგის შესახებ არაერთხელ მიგვიწოდებია ინფორმაცია ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის. ხანძრებითა და სხვა განსაცდელით, უფრო მეტად პირველით, „უხვად დატვირთული“ იყო ამ სამსახურის მუშაკებისათვის წლევანდელი არნახულგვალვიანი გაზაფხული-ზაფხულის პერიოდი, როცა თითქმის დღე არ გავიდოდა ისე, რომ დასახმარებელ გამოძახებაზე არ ყოფილიყვნენ ჩვენს მუნიციპალიტეტსა თუ მის მიმდებარე სხვა დასახლებულ პუნქტებში.*

– სულ წლის დასაწყისიდან ოქტომბრის დაწყებამდე,– ***გვიყვება განყოფილების უფროსის მოადგილე გიორგი შიოშვილი,*** – განყოფილებაში დაფიქსირებულია და გასულნი ვართ 239 სახანძრო წაკიდების საწინააღმდეგო ოპერაციაზე. ეს წაკიდება-ხანძრები ეხება როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გაჩენილ ხანძრებსა და ცეცხლს, ისე საცხოვრებელი სახლების, ვენახების, დამხმარე სათავსოების, ავტომანქანების და სხვათა ხანძრებს, რომლებშიც ჩვენი მეხანძრე-მაშველების ჩარევის შედეგად მნიშვნელოვნად არის შემცირებული მოსალოდნელი საფრთხეები და ზარალი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მორალურად ამორტიზებული ჩვენი ავტოტრანსპორტის გამო, ხშირად დროულად ვერ ვახერხებთ მოშორებით მდებარე დასახლებულ პუნქტებში გამოცხადებას და ცხადია, უკვე გაჩაღებული ხანძრის ჩასაქრობად მოგვიანებით მისული ჩვენი მუშაკების მუშაობას ისეთი ეფექტი ვედარ აქვს, რაც ხანძრის ქრობის თანამედროვე ტექნიკისა და ხანძარში დროულად ჩარევას მოაქვს.

– სახლების ხანძრები ახსენეთ და წელს მათი ბევრი შემთხვევაა დაფიქსირებული?

– ბევრი არაა, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზების, უფრო კი მათი მეპატრონეების გაუფრთხილებლობის გამო, სახლებში მომხდარი ხანძრების შემთხვევები გვქონდა თოხლიაურში, კაკაბეთში დაიწვა ხათუნა ოთიაშვილის სახლი, გომბორში ნოდარ ჭინჭარაულის „ბელეტაჟის“ ტიპის სახლი. რა თქმა უნდა, ჩვენი სამსახურის მუშაკებმა ხელი შეუშალეს ამ ხანძრების შემდგომ გავრცელებას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს მუშაობას უფრო მეტი შედეგი ექნებოდა და ხალხის უფრო მეტ ქონებას ვიხსნიდით, მუშაობის უფრო უკეთესი და შესაფერი პირობები რომ გვქონოდა.

– წლის დასაწყისიდან განვლილი პერიოდი მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ვენახების, ტყის ხანძრების სიმრავლით აღინიშნა. ათეულობით ჰექტარი ვენახი დაიწვა „გოგიჩაღელეში“, მანავში, საგარეჯოში. ხშირი იყო ტყის ხანძრები გომბორში, ვერონაში, და სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე. ამას გარდა, მონაწილეობას იღებდით დამხმარე გამოძახებებშიც. კერძოდ, რა და რა შემთხვევებზე მოგიწიათ გასვლა?

– წელს ხანძრის ქრობაში გახმარების გაწევა მოგვიხდა მეზობელი გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის, სადაც იწვოდა საძოვრები; ვმონაწილეობდით ყვარელში – ტყეში გაჩენილი ხანძრის ქრობაში, ლაგოდეხში – წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში და სხვა.

ამას გარდა, გვქონდა 110 სამაშველო გამოძახება და გასვლა, მათ შორის ავტოავარიებზე, დაკარგული უცხოელი მოქალაქეების ძებნაზე (უდაბნოსა და გომბორის ზონაში) და სხვა.

– სულ რამდენი მუშაკია და რა საშუალებები გააჩნია განყოფილებას, რომ ისეთ ძნელ გამოწვევა-საფრთხეებს გაუმკლავდეს მუნიციპალიტეტში, როგორებიც ხანძრები, ავტოავარიები და სხვა ძნელბედობაში ჩავარდნილი ადამიანების დახმარება და ხსნა არის?

– სულ განყოფილება დაკომპლექტებულია 21 ადამიანით და გვაქვს 4 სატრანსპორტო საშუალება, აქედან, სამი ძველი „ავტოცისტერნა“ და ერთი ახალი სამაშველო პიკაპი, რომლებიც დაკომპლექტებულია სათანადო აღჭურვილობით. სამსახურში შემოღებულია 24 საათიანი სამცვლიანი მორიგეობა, ცვლაში 6-7 მუშაკით.

– თქვენი და განყოფილების უფროსის ვინაობა კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისა თუ საზოგადოებისათვის. ვინ არიან ეს მეხანძრე-მაშველები, ვინც უკვე მრავალი წელია თავდაუზოგავად ემსახურებიან ჩვენი მოსახლეობის ხანძრებისა თუ სხვა საფრთხეებისაგან დაცვის საქმეს?

– ესენი არიან ოცმეთაურები გაიოზ ბეციაშვილი,, ზურა სამუნაშვილი, ბესიკ სადუნაშვილი, დისპეტჩერი იმედა ბაბაკიშვილი; მეხანძრე-მაშველები ხვიჩა გუგუტიშვილი, თეიმურაზ ნარეკლიშვილი, სუტო ამაროვი, ივანე ყველიაშვილი, გიორგი კერატიშვილი, ლევან კუჭუაშვილი, ივანე ქვრივიშვილი, ლაშა სტეფანიშვილი, გურამ ალექსაშვილი, ვახტანგ დიღმელაშვილი, ზაურ ხატიაშვილი, აკაკი კვირიაშვილი, ბეჟან ილაური, მძღოლები: გივი ქურდოვანიძე და გიორგი ხიზანიშვილი.

– სხვისი ქონების, ჯანმრთელობის დამცველებსა და ზარალის ამცილებლებს თავად ხომ არ შეგმთხვევიათ საფრთხე ამ ოპერაციებში?

– ისეთი არაფერი, გარდა რამდენიმე დამწვრობის შემთხვევისა, რომელთა დაფიქსირება არც კი ღირს.

– სულ ასე უსაფრთხოდ გეფლოთ თქვენს საქმეში და ნურც არავის დასჭირებოდეს თქვენი დახმარება მომავალში.

ესაუბრა

გივი დაბახიშვილი

განათლება

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა!

მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცეს

მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლელა მარიდაშვილი, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი*** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ღვაწლმოსილ და დამსახურებულ პედაგოგებს – ლამარა გოდერძიშვილს, თამარ საგინაშვილს, ნინელი ქელივიძეს, ელზა თედიაშვილს, სოფიო ბაღიაურს, ნინო კონიაშვილს, ნაზი ზუკაკიშვილს, ანიკო დიღმელაშვილს, ნინო დავრიშევას, ანგელინა კოხტაშვილს ესტუმრნენ, საჩუქრები გადასცეს და მადლობა გადაუხადეს საკუთარი პროფესიის, მომავალი თაობისა და სამშობლოს წინაშე გაწეული მრავალწლიანი შრომისთვის.

პედაგოგი, პოეტი, ჟურნალისტი

***იგი** უკვე სამ ათეულ წელზე მეტია პედაგოგის რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს ემსახურება. ამაზე უფრო მეტი – 10-15 წლით ადრე პოეზიის მუზებთან მეგობრობს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე ასპარეზზე „შემდგარი" და ამაგდაფასებულია... მაშ ასე, წარმოგიდგენთ მანავის საჯარო სკოლის (მენეჯერი ლია ყორღანაშვილი) დამსახურებულ და სერტიფიცირებულ მასწავლებელს მანანა დაბახიშვილს.*

... დაამთავრა მანავის II საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც 1988 წელს დაამთავრა. ამავე წლიდან ერთი წლის განმავლობაში იმუშავა საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადში", მომდევნო წლიდან კი მანავის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, საიდანაც სათავეს იღებს მისი მრავალწლიანი წარმატებული პედაგოგიური მუშაობა.

1989 წლიდან რამდენიმე თვეს (მასწავლებლობის პარალელურად) მუშაობდა ახლადდაფუძნებულ საგარეჯოს სატელევიზიო სტუდიაში „თვალი".

2005 წლიდან მანავის პირველი და მეორე საშუალო სკოლის ოპტიმიზაციისა და გაერთიანების შემდეგ მუშაობა გააგრძელა მანავის საშუალო სკოლის (ყოფილი II საშუალო სკოლა) VI-XII კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

2011 წელს იგი ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მასწავლებელთაგანია, ვინც პირველსავე გამოცდაზე ჩააბარა სავალდებულო ორივე გამოცდა და ამავე წლიდან მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

ბუნებით მაძიებელი და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული პედაგოგის მოსწავლეები თითქმის ყოველ წელს მონაწილეობენ სხვადასხვა დონის სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და კონკურსებში, საიდანაც უმეტესობა პირველი-მეორე ხარისხის დიპლომებითა და სიგელებით ბრუნდებიან მშობლიური სკოლის კედლებში. უფრო მეტიც, მისი მოსწავლეების მიერ შექმნილი მოთხრობები და ესკიზები შესულია მარიამ მირზაშვილის წიგნში „სხვა განზომილება".

ღვაწლმოსილი პედაგოგი ახალი წარმატებებით შეეგება ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და 5 ოქტომბერს – მასწავლებლის დღეს, რის შესახებაც ჩვენი დიალოგიდანაც შეიტყობთ.

– მანანა მასწავლებელო, ამ რამდენიმე თვის წინ, თუ არ ვცდები, ივლისის დასაწყისში, ტელეკომპანია „იმედის" არხზე გაშუქებული იყო საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის თქვენს საშუალო სკოლაში „სკოლის საკლუბო მუშაობის" ხელმძღვანელის მუშაობა. თუ შეიძლება გვითხარით, რას უკავშირდება ამ არხზე თქვენი ჩაწერა?

– საქმე იმაშია, რომ გასულ წელს საქართველოს განათლებისა და დებატების ინსტიტუტმა საქართველოს სკოლებში დაიწყო „სკოლებში საკლუბო მუშაობის" პროექტის განხორციელება, რომელში ჩართვაც შეეძლოთ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი საჯარო სკოლის უფროს მასწავლებლებს. ამავე წელს მეექვსე კლასის ბაზაზე ჩამოვაყალიბე „ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი", რომლის წევრები ვამუშავებდით მხატვრული ხერხების გამოყენებასა და მცირე ზომის მხატვრული ტექსტების შექმნაზე. ამას გარდა, კლუბის წევრები ვაწყობდით ექსკურსიებს და ლაშქრობებს მანავისა და ჩვენი კუთხის სხვა ისტორიულ ადგილებში, რის შემდეგაც მსჯელობდნენ და წერდნენ მათ მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ცოტა მოგვიანებით პროექტი გაფართოვდა და მასში შევიდა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კომპონენტი, სადაც ჩვენი სკოლის კლუბის წევრები მოხვდნენ რესპუბლიკის 10 საუკეთესო სკოლას შორის.

– თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად, რა გაკეთდა და როგორ აღნიშნა თქვენმა კლუბმა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი?

– პროექტით კლუბებს მიცემული ჰქონდა დავალება – ადგილობრივი თემის, სკოლის ფარგლებში მოეწყო ღონისძიებები ამ დიდმნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით. საჭირო რესურსების სიმწირის მიუხედავად, თითქმის არაფრიდან ნახმარი მუყაოს თეთრი ყუთებისგან გავაკეთეთ გმირთა თეთრი მემორიალი, რომელზედაც გავაკარით 1921-1924 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩვენი გმირი წინაპრების: ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კოხტა აფხაზის, ლევან რაზიკაშვილის, მიხა ხელაშვილის, მარო მაყაშვილის და სხვათა სურათები. ამ დღესთან დაკავშირებით მოვაწყეთ შეხვედრა და სკოლაში მოსწავლეთა მშობლებთან ერთად სტუმრად მოვიწვიეთ ქართველი პოეტები: რომან ზუკაკიშვილი, თამრიკო შაიშმელაშვილი, მიხეილ ღანიშიშვილი. ღონისძიებაზე საკუთარი ინიციატივით მობრძანდა პატარაჩაილურელი პოეტი მარინა შანიძე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

შეხვედრაზე დამსწრე პოეტები შეკრებილ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ესაუბრნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობასა და იმ ადამიანების ღვაწლის შესახებ, რომელთაც თავიანთი სისხლი და სიცოცხლე არ დაიშურეს ქვეყნის თავისუფლების მოპოვებისათვის, წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. თავის მხრივ კლუბის წევრებმა წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები, იმღერეს. სიმბოლური იყო ისიც, რომ ღონისძიებაზე ხელიდან ხელში გადაიცემოდა აფხაზეთის ომიდან წამოღებული საგარეჯოელების ნაომარი დროშა, რომელიც მათ ამ ღონისძიებაზე დროებით გვათხოვეს. ღონისძიებას ესწრებოდა ამ პროექტის ხელმძღვანელი თინათინ ცერცვაძე, რომელსაც ძალზე მოეწონა ჩვენი ნამუშევარი...

– როგორ მოხვდით თქვენ და თქვენი მოსწავლეები საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან და საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში?

– ამ ღონისძიების ჩატარების შემდეგაც „სკოლების საკლუბო მუშაობის" პროექტის ხელმძღვანელთა მხრიდან კვლავ გრძელდებოდა ყურადღება და დაკვირვება, აინტერესებდათ, რა შედეგები ჰქონდათ მასწავლებლებს და კლუბის წევრ მოსწავლეებს. პროექტის დასრულების შემდეგ შერჩეული ქვეყნის 12 საჯარო სკოლის საუკეთესო კლუბებიდან წეროვანის, ხარაგაულისა და მანავის საჯარო სკოლების კლუბების წევრები მიგვიწვიეს

დასასრული მე-5 გვერდზე

განათლება

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა!

პედაგოგი, პოეტი, ჟურნალისტი

<u>დასასრული</u>

ფინალურ ტურნირზე, რომელიც გაიმართა თბილისში დებატკლუბებს შორის „ნუცა მახვილაძის პრიზზე“. ამ დროს მოხდა ამ კლუბების ხელმძღვანელთა ჩაწერა „იმედის“ მიერ და მიგვიწვიეს საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში. ამის შემდეგ შევხვდით პრეზიდენტს და დავათვალიერეთ მისი სასახლე, სადაც მოსწავლეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

– კლუბის რომელი წევრები მოხვდნენ პრეზიდენტთან ამ შეხვედრაზე?

– ესენი არიან კლუბის წარმატებული წევრები: ნინი უცუნაშვილი, ცირა თოროზაშვილი, გიორგი მახარობლიშვილი, ბექა თათარაშვილი და მარიამ პასიკაშვილი, სულ ხუთი მოსწავლე.

– მოდით, წმინდა პედაგოგიური მუშაობიდან გამომდინარე კითხვას დაგისვამთ: – თქვენი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მასწავლებული იყოს წარმატებული?

– პირველ რიგში ეს არის მასწავლებლის ცოდნა. ის მასწავლებლები, რომლებსაც პრობლემები აქვთ ამ მხრივ, კარგავენ მოსწავლეთა პატივისცემას. კარგად უნდა ერკვეოდე ბავშვის ფსიქოლოგიაში, უნდა გახსოვდეს, რომ თითოეული მათგანი ცალკე, დამოუკიდებელი ინდივიდია და მას თავისებური მიდგომა სჭირდება; არ უნდა შეურაცხყო ბავშვი, მაშინაც კი, როცა გაკვეთილი არ იცის, ან ეეჭვება თავისი პასუხი. მან თავი გაკვეთილზე თავისუფლად უნდა იგრძნოს, პედაგოგში იგი დამხმარესა და თანამდგომს უნდა ხედავდეს და არა მარტო მომთხოვნს.

– კარგით, ახლა კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ სკოლასთან დაკავშირებით და შემდეგ თქვენს პოეზიაზე გადავიდეთ... როგორ შეაფასებდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ამჟამიდელ რეფორმებს პედაგოგთა სახელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებით?

– ეს მართლაც დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ღონისძიებაა, რომელსაც წინა მინისტრების პერიოდში პრეცენდენტი არ ჰქონია და შეუწყობს ხელს პედაგოგთა პასუხისმგებლობის ამაღლებას მინდობილი საქმისადმი და რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ქვეყნის მომავალი თაობების სწავლა-განათლების თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დონეზე წარმართვას.

– ახლა კი თქვენი ლექსების კრებულს „უფლის ჩიტები ჭილის ქუდიდან“ მივუბრუნდეთ, რომელმაც ამ ორიოდე თვის წინ იხილა „დღის სინათლე“...

– ჩემს ამ 146 გვერდიან წიგნში ძირითადად შესულია ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე შექმნილი 1 29 ლექსი. არსებობს თქვენს მიერ კითხვაში ნახმარი ერთი ქართული გამონათქვამი „დღის სინათლე იხილა“, რაც დაბადებას ნიშნავს... ჩემი ლექსების „დღის სინათლე“ ჩემი კურსელი, საოცრად კეთილშობილი და პოეზიის დამფასებელი ქალბატონია პოეზიის მსახურთა გვარიდან, ლელა ამისულაშვილი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას. ასევე უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თანაკურსელს შორენა ფირცხალავას, რომელმაც ორგანიზაციული საკითხები იტვირთა. წიგნი დაბეჭდილია გამოცემლობა „ინტელექტში“ და მისი რედაქტორია ნინო სადღობელაშვილი. ჩემს ლექსებს პოეზიის მოყვარული საზოგადოება ნაწილობრივ იცნობს საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების მიერ ამ ზაფხულს მოწყობილ ღონისძიებაზე „გარეჯული დღიურები“ – ჩემს მიერ წარდგენილი ლექსებით, ამ წიგნის მეშვეობით კი საშუალება ეძლევათ კიდევ უფრო უკეთ დააჭაშნიკონ იგი...

– საქართველოს დიდი აშუღი და მგოსანი იეთიმ გურჯი დაბახიშვილების გვარიდან ყოფილა. ხომ არ ფიქრობ, რომ შენი „უფლის ჩიტები“ – მასთან ამ გენეტიკური სიახლოვიდან იღებენ სათავეს?

– შეიძლება, შეიძლება... ჩემს გარდა არცთუ ურიგო ლექსებს ხომ ცხონებული მამაჩემი და ჩემი ძმა-ძმისშვილებიც წერენ...

– აბა, მაშ კარგად და როგორც იტყვიან, „ეს ერთი და სხვა მრავალი“... გილოცავთ მასწავლებლის დღეს და მომავალშიც მრავალი მოგველოცოს...

P.S. „უფლის ჩიტები ჭილის ქუდიდან“, რედაქტორი ნინო სადღობელაშვილი: „მანანა დაბახიშვილის ლირიკული პოეზია კარგად ნაცნობი და მივიწყებული მელოდიის რემიქსს მოგაგონებთ, რომელსაც ძველ ლაზათთან ერთად, განახლებული და აქამდე უცნობი ტონალობებიც ერთვის და მკითხველამდე (მსმენელამდე)თვითმყოფადი ენერგიით აღწევს.

სამშობლოს წარსულის რომანტიზმი – მასზე წუხილი და სიხარული, სიყვარული, როგორც ყოფის საიდუმლოს ჭვრეტა, გარესამყაროს „მოპატიჟება“ შინაგან კოსმოსში, მისი ჩართვა ადამიანურ დიალოგში: ბუნების – ამ თავდაპირველი კარის შეღება ცხოვრების კარნავალში – ეს თემები პოეტის „კამერტონებია“. მათზეა აგებული ეს პოეზია, ეს მუსიკალური, ლინგვისტური აკორდები.

რამდენიმე ლექსმა შესაძლოა აგამღეროთ კიდეც, ბევრი ისედაც დაგამახსოვრებთ თავს. პოეზიის საიდუმლოც ხომ ესაა - ისე განაცდევინოს მკითხველს თავი, როგორც მისივე საკუთარი სათქმელი. ამით მკითხველიც განიცდის ბედნიერებას და პოეზიაც რჩება მუდმივად ცოცხალი, ნაღდი და გულწრფელი“.

პატარების დიდი საშემოდგომო სამზადისი

ერთი დღე მანაველ პატარა მოქალაქეებთან

ბარეკახეთში შუაგული შემოდგომაა. მევენახეები თავიანთი გარჯის ნაყოფს აბინავებენ. რთველია მანავშიც. ახლა ადრიანი დილიდან გვიანობამდე არ წყდება სართვლო სამუშაოები. პატარა მანაველები – №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები კი თავისებურად აღნიშნავენ ამ პროცესებს – თავიანთი აღმზრდელი-მასწავლებლების ხელმძღვანელობით შემოდგომის ზეიმის ჩასატარებლად ემზადებიან, სწავლობენ შემოდგომის თემაზე დაწერილ ლექსებს, სიმღერებს, ამზადებენ წარმოდგენებს. ეს ამბავი ამ დღეებში მათთან სტუმრობისას შევიტყვეთ. როგორც დაწესებულების მენეჯერმა ნინო დალაქიშვილმა გვითხრა, ახალი სასწავლო წლისთვის საბავშვო დაწესებულებაში 60 ბავშვი ირიცხება, რომლებიც ორ – 3-4 და 5-6 წლიანთა ჯგუფში არიან გადანაწილებული. აქედან უმეტესობა 32 აღსაზრდელი 5-6 წლიანთა ჯგუფშია, დანარჩენები მეორე – 3-4 წლიანების ჯგუფში.

5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელთა განათლებას აღმზრდელი მზია სოროზნიშვილი და თანაშემწე ოქტიაბრინა ხუციშვილი, 3-4 წლიანების ჯგუფს კი აღმზრდელი თამუნა ბეგაშვილი და თანაშემწე ლია დოხტურიშვილი ემსახურებიან. მათ გარდა, აქაური პატარების სწავლა-აღზრდასა და შესაფერი სასწავლო გარემოს შექმნისათვის ზრუნავენ მედდა ქეთინო საბაშვილი, მუსიკის მასწავლებელი მაია მასურაშვილი, მზარეული ქეთინო ბორაშვილი, დამლაგებელი ლეილა შოთაძე. ბავშვების მიღება აქ დილის 9 საათიდან იწყება და ისინი ამ კედლებში საღამოს 5 საათამდე ატარებენ ყოველმხრივად ხელშეწყობილ, მრავალფეროვანი აქტივობებითა და გასართობებით დატვირთულ შინაარსიან დროს. ამისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი ბაღში. მისი შენობა სულ ახლახანს გარემონტდა თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზე.

წელს ბაღიდან მანავის საჯარო სკოლაში 30 პირველკლასელი გაუშვიათ, მომდევნო სასწავლო წლისთვის კი 20 სასკოლო ასაკის აღსაზრდელი, 10 ბავშვით ნაკლები გვყავსო, – „შემომჩივლა“ დაწესებულების მენეჯერმა..

– როგორც ყოველთვის, ახლაც ყველგან სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია – ყველაფერი, რასაც კი ბავშვები ხელით ეხებიან, ქლორით იწმინდება და მუშავდება, – ***მიხსნის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი*** და იქაურობას მათვალიერებინებს. ვათვალიერებ მისი კაბინეტის შესასვლელთან კედელზე მოთავსებულ დღის წესრიგს. თვალში მხვდება 5-6 წლიანთა ჯგუფის სამეცადინო დარბაზში შესასვლელთან გაკრული გულის, ხელებისა და ნოტების სურათები.

– ეს ნიშნები შესასრულებელი აქტივობების ნიშნებია – ***მიხსნის ქ-ნი ნინო***. თუ დარბაზში შესული ბავშვი გულზე დაადებს ხელს, აღმზრდელი მას გულში იხუტებს, თუ ხელს ხელებს დაადებს, მასწავლებელი მას ხელს ართმევს და ესალმება, ხოლო თუ ბავშვი ნოტებს აირჩევს, მაშინ აღმზრდელი და აღსაზრდელი ცეკვავენ. ეს აქტივობები ძალზე მოსწონთ და ხალისობენ ბავშვები.

– ჩვენთან დღეში სამჯერადი და საუკეთესო კვებაა, ნეტავი ყველას ოჯახში ჰქონდეთ ასეთი პირობები, რაც აქ აქვთ პატარებს. ყოველ 10 დღეში ერთხელ გვამარაგებენ ახალი და საუკეთესო პროდუქტებით, რაც სათანადოდ ინახება საკუჭნაოს მაცივრებში. საუზმესა და სადილს შორის არის წახემსება, სადაც ბავშვებს სხვადასხვა ტკბილეული ეძლევათ, დღეს კი მათთვის ხაჭაპურს ვაცხობთ – ***მიხსნის მენეჯერი და მზარეული ქეთინო ბორაშვილის ნახელავის დასაგემოვნებლად მპატიჟობს***.

დროის სიმცირის გამო (მანავის საჯარო სკოლაშიც უნდა მომესწრო მისვლა) ვუბოდიშებ ამ მიწვევაზე და უფროსი ასაკის ბავშვების ჯგუფის დარბაზში შევდივართ. როგორც წინა ოთახში და საერთოდ შენობაში, ამ ოთახშიც სისუფთავე, წესრიგი, კედელზე გაკრული თვალსაჩინოებების მასალები მხვდება. აღმზრდელი მზია სოროზნიშვილი და თანაშემწე ოქტიაბრინა ხუციშვილი თავიანთ აღსაზრდელებს „სასკოლო მზაობის პროგრამის“ ფარგლებში ქართული ანბანის შესწავლაში ამეცადინებენ. ივანე სოზაშვილი აღმზრდელის დახმარებით „ანიდან თანის“ ჩათვლით ასახელებს ნასწავლ 8 ასობგერას, კობა ქალაქურაშვილი, ეკატერინე ოზგელდაშვილი, ქეთევან დაბახიშვილი კი „სხაპასხუპით“ კითხულობენ უკვე ნაცნობ და ნასწავლ ასოებს. დამატებით ქეთევანმა ლექსიც თქვა ანბანზე.

– ახლა სასკოლო მზაობის პროგრამის მიხედვით აქვთ მეცადინეობა, ისე კი მათი ჯგუფის სამუშაო გეგმაშიც შემოდგომის თემაა და დიდი საშემოდგომო ზეიმისთვის ემზადებიან. ზეიმს, რა თქმა უნდა, ორივე გუნდის აღსაზრდელები ერთობლივად ჩაატარებენ; სხვა აქტივობებთან ერთად ზეიმზე თათარასაც მოვადუღებთ. ბავშვები თათარაში თავიანთი ხელით ამოავლებენ ჩურჩხელებს, რომელთაც ხარიხებზე გაჰკიდებენ გასაშრობად და გაშრობის შემდეგ ასევე ერთობლივად დააგემოვნებენ თავიანთ ნახელავს, საშემოდგომო ზეიმის დეტალებს „დეტალურად“ მაცნობს დაწესებულების მენეჯერი.

ანბანის შესწავლით დაკავებულებს ვტოვებ 5-6 წლიანების ჯგუფის აღსაზრდელებს იმ იმედით, რომ ორივე ჯგუფის ბავშვებს მათი აღმზრდელები, დაწესებულების მენეჯერი და მთელი პერსონალი აქ შექმნილი მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ერთად მომავალშიც არ მოაკლებენ ჩვეულ სითბოსა და მზრუნველობას, ყველაფერს გააკეთებენ მათი ღირსეულ მამულიშვილებად და ქვეყნის მომავალ პატრონებად აღზრდისათვის.

გივი დაბახიშვილი

№19(201) 2019 წელი, 1-15 ოქტომბერი

„რთველი–2019“

2019 წელს კახეთში 260 000 ტონა ყურძნის მოსავალს მოელოდნენ. აქედან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, წინასწარი მონაცემებით 37 000 ტონა ყურძნის წარმოებას მოველოდით. 14 ოქტომბრის მონაცემებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზვრებიდან ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებში 18000 ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი შევიდა, ხოლო 15 000 ტონაზე მეტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და თბილისის მოსახლეობამ საკუთარი მოხმარებისთვის შეიძინა.

„რთველი-2019“ გრძელდება

ეს საინტერესოა

ქვევრის ღვინო

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს შეუწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას.

ქვევრი ღვინის დასაყენებელი და შესანახი უნიკალური თიხის ჭურჭელია. საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი განეკუთვნება ძვ. წ. VI-V ათასწლეულებს. დღეს არსებული ქართული ქვევრის ფორმა ძვ. წ. III-II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდამდე, ძირითადად, პატარა ქვევრები იყო გავრცელებული, რომლებიც სიმაღლეში 1-1,5 მეტრს არ აღემატებოდა და ჰქონდათ ბრტყელი ძირი და განიერი მუცელი. ამჟამად ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კვერცხისებური ფორმის ქვევრები.

ქვევრის ტევადობა რამდენიმე ასეული ლიტრიდან იწყება და რამდენიმე ტონას აღწევს. განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრებით კახეთი გამოირჩევა, სადაც შესაძლოა 6-8 ათასი ლიტრის ტევადობის ქვევრების ნახვაც. ყველაზე გავრცელებულია 1-2-ტონიანი ქვევრები.

ქვევრის ღვინო ზოგადად გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეული რაოდენობის ჭაჭასთან დადუღებას, დაღვინებასა და შემდგომ დავარგებას. პირველი და მნიშვნელოვანი წესი ქვევრში ღვინის დაყენებისა არის ქვევრში ღვინის დაყოვნება თავისივე ჭაჭაზე როგორც ალკოჰოლური დუღილის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც.

ღვინის დაყენების ტექნოლოგია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. მაგალითად, კახეთში ალკოჰოლურ დუღილში მონაწილეობს ჭაჭის მთლიანი რაოდენობა, ღვინის დაყენების იმერული წესი კი გულისხმობს საწნახელიდან ქვევრებში ჩასხმულ ტკბილზე არა ჭაჭის მთლიანი რაოდენობის, არამედ მაქსიმუმ ერთი მესამედის დამატებას.

ღვინის თავისივე ჭაჭაზე დასაყოვნებელი პერიოდის განსასაზღვრად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ჯიშს, ალკოჰოლური დუღილის ხანგრძლივობას, გარემო პირობებს და სხვ. საშუალოდ წითელი ღვინო ქვევრებში მხოლოდ ალკოჰოლური დუღილის პერიოდში ჩერდება, ეს შეიძლება იყოს 7-10 დღე, მაქსიმუმ 2 კვირა. თეთრი ყურძნის შემთხვევაში ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებენ. ჭაჭაზე დიდი ხნით დაყოვნებული ღვინო იძენს მუქ ჩალისფერ, ოქროსფერ ან ჩაისფერ შეფერილობას, გამჭვირვალეა და კრიალა, ხასიათდება ხილის ტონებით და ტანინების ზომიერი შემცველობით, არის ბუნებრივად სტაბილური.

ქვევრისთვის საჭირო თიხა-კირქვას და მცირე რაოდენობით ძვირფას ლითონებს – ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს შეიცავს. კირი, რომელიც ღვინის მჟავასთან რეაქციაში შედის, ერთი მხრივ, ამაგრებს ქვევრის კედლებს, მეორე მხრივ, ბუნებრივი ანტისეპტიკის როლს ასრულებს, რაც მეღვინეობაში, სადაც 400-მდე სახის ბაქტერიაა ცნობილი, მეტად მნიშვნელოვანია. ქვევრის დამზადებას საშუალოდ 3 თვე სჭირდება. ძირითადი დრო მის ამოშენებასა და გაშრობაზე მიდის. ქვევრების ამოშენების შემდეგ მათ საგანგებო ღუმელში ათავსებენ, სადაც გამოწვის ურთულესი ეტაპი იწყება.

მიწაში ჩაფლულ ქვევრში ტემპერატურა არ იცვლება და ის მუდმივად ღვინის დუღილისათვის საჭირო 13 -15 -ს ინარჩუნებს. მასში ბუნებრივად და ქრონოლოგიურად მიმდინარეობს ის ქიმიური პროცესები, რომლებსაც ქარხნულ წარმოებაში სპეციალური დანადგარები და დანამატები სჭირდება. სანამ ღვინო დადუღდება, მას ხშირი დარევა სჭირდება, დღეში 4-5-ჯერ. დუღილის დასასრულს ყურძნის წიპწები, ჭაჭა და კლერტი დაძირვას იწყებს და ქვევრის ფსკერზე გროვდება. წნევის ზემოქმედებით წიპწას ლექი გადაეფარება, რის შედეგადაც წიპწა და ღვინო ერთმანეთისგან განცალკევდება.

საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთ უმთავრეს რეგიონში – კახეთში ქვევრები მარანშია ჩაფლული, დასავლეთ საქართველოში კი ღვინოს ჰერმეტულად დახურულ ჭურებში (ქვევრი) ღია ცის ქვეშ ინახავენ.

საქართველოში აგრეთვე არსებობს ქვევრის ღვინის გამორჩეული სახეობა – მონასტრის, ე. წ. „ზედაშის“ ღვინო. ესაა წითელი ღვინო და გამოიყენებენ საეკლესიო რიტუალების დროს. ზედაშის ღვინის დაყენება არ განსხვავდება ჩვეულებრივი ქვევრის ღვინის დაყენებისგან. ძირითადი განსხვავება არის არა ღვინის ტექნოლოგია, არამედ შინაარსობრივი და დანიშნულებითი მხარე. საზედაშე ღვინოს სჭირდება არა ფილტრაცია ან სხვა პრეპარატებით გაჯერება, არამედ ჭაჭიდან დროული მოხსნა და გადაღების სწორი დროის შერჩევა.

საქართველოში ქვევრის ღვინოს ბევრი ღვინის კომპანია აწარმოებს. ქვევრის ღვინის წარმოებით, საქართველოს გარდა, ბოლო დროს სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ექსპორტზე სულ უფრო მეტი ქართული ქვევრის ღვინო გადის, და მათ შორის ისეთ ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და საფრანგეთი.

ქართული ვაზის ჯიშები

საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500-ზე მეტი ქართული ჯიში, ასეთი მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში კულტურული მევენახეობა ათასწლეულებს ითვლის.

რქაწითელი

ვაზის ეს თეთრყურძნიანი ჯიში კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის და საქართველოში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ამასთან ერთად იგი ფართოდაა გავრცელებული სხვა რეგიონებშიც. რქაწითელის ყურძნის წვენი ფიზიოლოგიური სიმწიფის დაწყებიდან თითქმის დამწიფემადე ინარჩუნებს შაქრიან-მჟავიანობის სასურველ შეფარდებას. სრულ სიმწიფეს აღწევს სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე. რქაწითელისთვის საუკეთესო მიკროზონებია: კარდენახი, ტიბაანი, წინანდალი, გურჯაანი, ნაფარეული. რქაწითელის ჯიშიდან საქართველოში დგება მაღალხარისხიანი კლასიკური და კახური ტრადიციული ღვინოები, ხშირად გამოიყენება მწვანე კახურთან ერთად.

მწვანე კახური

ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, იძლევა ევროპული და კახური ტიპის მაღალხარისხიან ღვინოს. სახელწოდება მიღებული აქვს მწიფე მარცვლების მოყვითალო–მწვანე ფერის გამო. მისი ძირითადი ფართობი (96%) კახეთშია, ხოლო ამ ჯიშის მთლიანი ფართობის 80% მოქცეულია მხოლოდ ორ (თელავისა და საგარეჯოს) რაიონში, დარჩენილი 17% კი დანარჩენ 5 რაიონში. მწვანე მაღალხარისხოვანი საღვინე ჯიშია. კახეთის თეთრ ჯიშებში მწვანე ყველაზე უფრო ნაზ და არომატულ ღვინოს იძლევა. ევროპული წესით დამზადებული მწვანის ღვინო მომწვანო ღია ჩალისფერია, აქვს ხალისიანი, ნაზი, ჰარმონიული გემო. დაძველებისას იგი ივითარებს ჯიშისათვის დამახასიათებელ ბუკეტს, რომელშიაც მკაფიოდ იგრძნობა ხილის არომატი. კახური წესით დამზადებული ღვინო მუქი ჩალისფერია; იგი უფრო სრული, მდიდარი ღვინოა, არომატი უფრო ძლიერი და სასიამოვნო აქვს. მწვანე კახურისთვის საუკეთესო მიკროზონებია: მანავი, წინანდალი, იყალთო, რუისპირი, ახმეტა. მწვანე კახურისგან დაყენებული ღვინო ხასიათდება ატმის, ხილის ყვავილებისა და მინერალური ტონებით.

ხიხვი

ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. ეკუთვნის კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. საშუალო პერიოდისაა, სექტემბრის შუა რიცხვებში, ოქტომბრის მეორე ნახევარში მწიფდება. ხიხვიდან დამზადებული კლასიკური ტიპის ღვინო ხასიათდება ეგზოტიკური მცენარეული კერძოდ მინდვრის ყვავილების სურნელით. ასევე დღესდღეობით ხიხვს სხვა ჯიშებთან ერთად აყენებენ ტრადიციული ტექნოლოგიით და საკმაოდ წარმატებულადაც.

საფერავი

ქართული წითელყურძნიანი ვაზის ჯიში. წარმოშობით სამხრეთ საქართველოდანაა, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებულია კახეთში, სადაც საუკეთესო შედეგს იძლევა. გავრცელებულია საფერავი მრგვალმარცვალა და ბუდეშორისებრი, ანუ გრძელმარცვალა – ერთი ჯიშიდან წამოსული ორი სახეობა. ერთმანეთისგან მხოლოდ მარცვლის ფორმით განსხვავდება. სიტყვა “საფერავი” ფერის მიმცემს გულისხმობს. საფერავისგან მზადდება მაღალხარისხიანი კლასიკური და ტრადიციული ტიპის ღვინოები, დაძველების დიდი პოტენციალით. ასევე გამოიყენება ნახევრადტკბილი და ვარდისფერი ღვინოების დასამზადებლად. საფერავი არის ჯიში, რომელსაც მაღალი შაქრიანობა შეუძლია დააგროვოს, შეინარჩუნოს მჟავიანობა. გამოირჩევა საღებავის სიუხვით, ანუ საფერავი, შემფერავი ნივთიერებებით, შესაბამისად, მისგან მუქი შეფერილობის ღვინო დგება. აქვს ძალიან კარგი, დიდი რაოდენიბით და ადვილად ექსტრაგირებადი ტანინები. სწორედ ტანინები განასხვავებენ ღვინოს სხვა ჯიშებისაგან. საფერავისგან შეიძლება დავამზადოთ ძლიერი, მაღალმჟავიანი, მაღალი ალკოჰოლის შემცველი, მუქი შეფერილობისა და კარგი ტანიანიანი ღვინო. ტანინებთან და საღებავებთან ერთად საფერავს თავისი ჯიშური, გამორჩეული არომატები გააჩნია, რომლითაც ყოველთვის იცნობა და მის უნიკალურობასაც განაპირობებს. საფერავიშეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ დიდი პოტენციალის მქონე ვაზის ჯიშად, რომელიც საკმაოდ დიდ ყურადრებას იმსახურებს უცხოელების მხრიდანაც.

თავკვერი

წითელი აბორიგენული ყურძნის ჯიში. გავრცელებულია ქართლის რაიონში. ზრდის სიძლიერე საშუალო, მოსავლიანობა 70-80, სოკოვან დაავადებათა მიმართ მცირე გამძლეობას იჩენს, თუმცა სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით ადვილად უძლებს ყინვას. აქვს საშუალო ზომის, კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის მტევანი და მომრგვალო, მუქი ლურჯი, თითქმის შავი ფერის მარცვალი. საგვიანო პერიოდის ჯიშებს განეკუთვნება, მწიფს დაახლოებით, ოქტომბრის პირველ ნახევარში. შაქრიანობა 19-21%, მჟავიანობა 7,5-8,5 %. მისგან ამზადებენ ”თაკვერის” სახელწოდებით ცნობილ წითელ და ვარდისფერ ღვინოებს.

მართლმადიდებლობა 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობაა

დასასრული

რობილი განაგრძობდა ლოცვას. უეცრად მათ ნათლით მოსილი, ცეცხლში გახვეული ჭაბუკი გამოეცხადა და სამი სიტყვა თქვა. წმ. ნინო პირქვე დაემხო, ჭაბუკმა მოჰკიდა ხელი სვეტს და მაღლა აღმართა. ამის შემდგომ ნათლით მოსილი სვეტი ყველას თვალწინ ნელ-ნელა დაეშვა გადაჭრილ ნაძვზე.

ამ სასწაულით გამომჟღავნდა კვართის ადგილსამყოფელი.

დილით ინათა თუ არა, შეწუხებული მეფე მშენებლობის ადგილისკენ გაემართა და დაინახა, რომ მის ბაღს ცად აწვდილი ელვის მსგავსი ნათელი ადგა. სასწაულის ადგილზე მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი. ამ მირონმდინარე სვეტის მადლით მრავალი სასწაული და კურნება ხდებოდა და დღესაც ხდება. მირიან მეფემ მალევე დაასრულა სვეტიცხოვლის პირველი ტაძრის მშენებლობა, რომელიც ხის იყო. Vს-ში, დაახლოებით 500წ. ვახტანგ გორგასალმა ქვის დიდი ეკლესია ააგო, რომელიც XI ს.-ში საფუძვლიანად შეაკეთა მელქისედეკ კათოლიკოსმა. ასევე, შეკეთდა XVს.-ის I ნახევარში, ალექსანდრე I-ის მეფობის ხანაში, მას მერე, რაც ტაძარი თემურ-ლენგმა დაანგრია და XIXს-ში.

წმიდა დიდმოწამენი, არგვეთის მთავარნი დავითი და კონსტანტინე

წმიდა მოწამენი დავით და კონსტანტინე მხეიძეები არგვეთის მთავრები იყვნენ. „მეცნიერნი ძუელისა და ახალისა სჯულისა, ჭეშმარიტნი მორწმუენნი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა“.

დავითი იყო „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ხშირ წვერითა“, კონსტანტინე - „შუენიერ გუამითა, მოწაბლე თმითა... წვერ გამო“. როცა ძმებმა უსჯულო მურვან-ყრუს შემოსევა შეიტყვეს, შემწეობა სთხოვეს უფალს, შეერიბეს ლაშქარი, ერს კი გაძლიერებული ლოცვები და ღამისთევები დაუდგინეს.

უსჯულონი თავს დაესხნენ ფერსათის მთასთან დაბანაკებულ ქართველებს. ღვთის შეწევნით ქართველებმა გაიმარჯვეს. გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა, არაბებმა მოაოხრეს ყველაფერი. გადარჩენილმა მოსახლეობამ ტყეებს შეაფარა თავი. უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს ძმები - დავითი და კონსტანტინე.

ტყვეები მურვან-ყრუს წარუდგინეს. უსჯულო სარდალმა დაცინვა დაუწყო შებორკილ ქრისტიანებს, მათ კი უპასუხეს: „სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთჯამ არს დიდება შენი და ადრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათ ს იქმნა ძლევა შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათ ს, რომელ გარდავ ედით მცნებათა ღმრთისათა, იქმნა მრავლობა თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუწუართნეს ღმერთმან ელითა თქუენ უსჯულოთა და უღმთო თა“. ამ კადნიერ პასუხზე მურვანი განრისხდა და წმიდათა წამება ბრძანა.

დავითისა და კონსტანტინეს მხნეობით გაკვირვებულმა მურვანმა ლიქნით მოინდომა ძმების მოდრეკა. მან დავითს უთხრა: „გამიგია შენი ვაჟკაცობის ამბავი, ამიტომ გირჩევ, დაუტეო ცუდი და ამაო სიტყუა სიცოფისა თქუენისა და დაემორჩილო სჯულსა მუჰამედისა“. სასყიდლად პატივსა და სპასალარის წოდებას დაჰპირდა. წმიდა დავითმა პირჯვარი გამოისახა და უპასუხა: „ნუ უყოფინ ჩუენდა, რა თა დაუტეოთ ნათელი და შეუდგეთ ბნელსა, ღმერთმან ჩუენმან განგვანათლა, რაჟამს ძე თ სი მოავლინა ქვეყნად და კაც იქმნა ჩვენთვის, ყოველი განგებულება თავს იდვა: ჯვარცმა, დაფლვა, აღდგომა, ამაღლება; კვალად მოვალს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. მაცხოვარმა წარავლინა მოწაფენი თ სნი ყოველსა ქვეყანასა საქადაგებლად. ჩვენთან მისმა ორმა მოწაფემ იქადაგა და მოგვაქცია კერპთა მსახურებისაგან. ჩვენ, მის მიერ განსწავლულნი და განათლებულნი, არა ვმონებთ სხვასა სჯულსა, არამედ მზად ვართ ქრისტესთვის გვემისა, ტანჯვისა, ცეცხლისა, წყალისა, მახვილისა და სიკვდილისა“. შემდგომ ამხილა ყურანი და სჯული აგარიანთა: „მუჰამედმა ცეცხლის მსახურებისაგან მოგაქციათ, მაგრამ ღმერთი ვერ შეგამეცნებინათ, ამიტომ ემსგავსებით იმ ნავდანთქმულთა, რომელნიც შუა ზღვაში გადარჩნენ, მაგრამ ნაპირს მიწევნულნი დაინთქნენ“.

დავითის პასუხით განრისხებული მურვანი კონსტანტინეს მიუბრუნდა და მისი გადაბირება მოინდომა, მაგრამ კონსტანტინემაც უშიშრად აღიარა წმიდა სამება: „ვითარცა ეწამა და აღიარა უფალმან ჩემმან დავით... მეცა ვწამებ და აღვიარებ, რამეთუ ერთსა სჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა განსწავლულ ვართ და მრწამს მამა და ძე და სული წმიდა და მისთ ს მოვკუდები“.

გამძვინვარებულმა მურვანმა ბრძანა, შიმშილითა და წყურვილით მოეძლურებინათ ძმები. ათი დღის შემდეგ „მრავალფერი ტანჯვის“ შემდეგ მან მოგვნი და მისანნი წარავლინა არგვეთელ წმიდანთა წინაშე, მაგრამ მოწამეებმა ისევ უშიშრად აღიარეს ქრისტე.

ძმები წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად (შემდგომდროინდელი „ჯაჭვის ხიდის“ ქვემოთ), მდინარის ნაპირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს, მერე ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედზე ლოდები გამობეს და მდინარეში გადააგდეს.

სიკვდილის წინ ძმებმა ილოცეს: „ჰოი, უფალო ღმერთო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისა მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყვნენ წამებასა სახელისა შენისათ ს წმიდისა, აწცა შეისმინენ ვედრებანი და თხოვანი ჩუენ მონათა შენთანი და ვითარცა დავიმარხენით ხორცნი ჩუენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისათ ს შენისა წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ გუამნი ჩვენნი განუხრწნელად და დაურღვეველად და რომელთა ხადონ სახელითა ჩუენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ეწიენ წყალობა შენი და მიეც შენდობა ბრალთა და ყვენ ასონი ხორცთა ჩუენთანი მკურნალ ყოველ სენთა და უძლურებათა, დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელისა შენისა“.

ზეცით გაისმა ხმა, რომელიც მათი თხოვნის შესმენას ადასტურებდა. ზეციური ხმით შეშინებული მტარვალები გაიქცნენ.

ღამით აღსრულდა სასწაული: ზეციდან მიწაზე სამი ნათლის სვეტი გარდამოვიდა, შუქმა გაანათა იქაურობა. ღვთის ნებით მოწამეებს „ლოდნი შემოეძარცვნეს ქედთა მათთა“ და წმიდა სხეულები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მთავართა მსახურებმა ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. უცებ მათ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა: „აღიხუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავლეთით და სადა-იგი გთნდესთ, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანება უფლისა ღმრთისა , რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მოწამეთანი“.

განკვირვებულმა მსახურებმა წმიდანთა ცხედრები მთელი ღამე ატარეს და ბოლოს წყალწითელას ხეობაში აღმართული კლდის თხემს მიატანეს. იმ ადგილას ადრე ხარების სახელობის ეკლესია მდგარა, რომელიც მურვან-ყრუს დაექცია. ნაეკლესიარის ქვემოთ, კლდეში ცარიელი აკლდამა იხილეს და მოწამენი სწორედ იმ აკლდამაში დაასვენეს. ამიერიდან გმირთა საფლავს და მის შემოგარენს მოწამეთა ეწოდა.

სამასი წელი ესვენენ დავით და კონსტანტინეს უხრწნელი სხეულები იმ აკლდამაში. XI საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ბაგრატ III ხელახლა აღაშენა სარკინოზთაგან დანგრეული ეკლესია და იმ ჟამამდე უჩინარქმნილი წამებული გმირები მასში გადაასვენა. წმიდანთა გაუხრწნელი და უვნებელი ცხედრები თავშექცევით იწვნენ სამარეში და მრავალ სასწაულებრივ კურნებას აღასრულებდნენ „ვითარცა - ესე თვით მათ ითხოვეს ღმრთისაგან“.

მაგრამ ძმათა მხეიძეთა წამებთა თურმე ამით არ დამთავრებულა. ახალი მარტვილობა მათ წინ ისევ ელოდათ...

განვლო თითქმის 12 საუკუნემ და საქართველოს კვლავ შემოესია მძვინვარე მტერი, ამჯერად ჩრდილოეთიდან მოსულ ღვთისმებრძოლთა წითელი ლაშქარი, რომელსაც წინ მურვან-ყრუზე უარესი, ამჯერად ნაქართველარი და ქრისტიანყოფილი წინამძღოლები მოუძღოდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს აოხრების შემდეგ „წითელი ურდო“ დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ისევე როგორც მურვან ყრუმ, „მოსრა და მოაოხრა ყოველი“. ბნელ ძალთაგან აღძრულ უფლის მტერთა ლაშქრის მეთაურმა - სერგო ორჯონიკიძემ თავის „სასახელო გმირობებს“ ახალი საშინელი „გამარჯვება“ შემატა, რითაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ ვისი ნების აღმასრულებელი იყო თავისსავე სამშობლოში. 12 საუკუნის წინათ ძმათა მხეიძეთა მიერ შერცხვენილმა სატანამ მოწამეებზე კვლავ იძია შური. „რკინის სერგოს“ ბრძანებით, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ გმირ ძმათა უხრწნელი ცხედრები აკლდამიდან ამოთხარეს, და გზა-შარაზე და ქუჩა-ქუჩა ათრიეს... ხოლო შემდეგ, ისევე როგორც პირველ წამებისას, მათი უხრწნელი ნეშტები წყალში გადაყარეს... ადგილობრივ ქრისტიანთა მართლაც გასაოცარი თავდადებით, წმიდანთა სხეულები საბოლოო განადგურებას გადარჩა და ისინი უფლის ნებით ყოველთა მორწმუნეთა მეოხად კვლავ თავის საუკუნო განსასვენებელს დაუბრუნდნენ.

საგარეჯოს ბიბლიოთეკა 130 წლისაა

გაბრძელება

ამქვეყნიური სამოთხე კარგ წიგნებში და სპეტაკ სინდისშია
პიერ კლოდ ვიქტორ ბუასტი

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკა არა მარტოწიგნის მოსახლეობამდე მიტანის საშუალება, არამედ საბჭოთა მთავრობის ხელში ახალგაზრდობის იდეური და ზნეობრივი აღზრდის იარაღადაც იქცა. პირველ ხანებში ბიბლიოთეკებში ინიშნებოდნენ წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდები, ვინაიდან საუკუნის დასაწყისში განათლების მხრივ სოფლის მოსახლეობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

1934 წელს რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატებთან დაარსდა საბიბლიოთეკო სამმართველოები, რაც 1945 წელს მინისტრთა საბჭოებთან არსებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომიტეტებმა შეცვალეს. 1953 წელს შეიქმნა კულტურის სამინისტროები, რომელსაც დაევალა ბიბლიოთეკების საქმის ხელმძღვანელობა და კონტროლის ერთიანი სისტემა. ეს პატარა მიმოხილვა ნათლად მოწმობს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის. ეს დიდი გარდატეხები შეეხო ჩვენს რაიონსაც – იხსნებოდა ახალი ბიბლიოთეკები სოფლებში: მანავში, გიორგიწმინდაში, კაკაბეთში, თოხლიაურში, ნინოწმინდაში და სხვა სოფლებში. რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებმა დააყენა იმის აუცილებლობა, რომ მომზადებულიყო საბიბლოთეკო კადრები. კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა მუდმივი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

საბიბლიოთეკო სასწავლებელი. აქ იგზავნებოდა სოფლის ბიბლიოთეკებში მომუშავე ახალგაზრდები ცოდნის მისაღებად. პარალელურად სკოლები გადაიქცა საშუალო სკოლებად, რომლებთანაც შეიქმნა სასკოლო ბიბლიოთეკები, ხოლო კლუბებთან კლუბთან არსებული ბიბლიოთეკები. მათ დახმარებას უწევდათ რაიონული ბიბლიოთეკა. ყველა ეს სოფლის ბიბლიოთეკა ექვემდებარებოდა სარაიონო ბიბლიოთეკას, ის ითვლებოდა მათ ხელმძღვანელად და მეთოდურ დახმარებასაც ის უწევდა.

როგორი იყო საბიბლიოთეკო ცხოვრება 20-50-იან წლებში

საგარეჯოს მთიანი სოფლები მოწყვეტილიყო კულტურულ მომსახურებას. აქ არც კლუბები იყო და არც ბიბლიოთეკები. ეს აღრეულ ეტაპზე, სანამ ბიბლიოთეკები გაიხსნებოდა. სკოლებში ბავშვები მეზობელი სოფლებიდან ფეხით დადიოდნენ. საჭიროებამ მოითხოვა გახსნილიყო მოძრავი ბიბლიოთეკა და 1933 წელს გაიხსნა კიდეც. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მოძრავმა ბიბლიოთეკამ კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა. ომის წლებმა დროებით შეაჩერა მოძრავი ბიბლიოთეკების მუშაობა, შემდეგ კი ისევ განახლდა. აქვე ვიტყვი, რომ მოძრავ ბიბლიოთეკაში სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ: სანათა ჩერქეზიშვილი, ლიანა კახიანი, ელიზა ბადდასაროვა, ნანა სარუხანაშვილი. ავტომოძრავი ბიბლიოთეკა თვეში ორჯერ გადიოდა სოფლებში, სადაც არ იყო ბიბლიოთეკები, გაჰქონდათ წიგნები, შემდეგ გასვლაზე გაჰქონდათ ახალი და ძველებს ადგილზე აბრუნებდნენ.

როგორი იყო სარაიონო ბიბლიოთეკის ცხოვრება 40-იან წლებში, ვინ მუშაობდნენ აქ?

საგარეჯოს რაისაავადმყოფოს ყველასათვის საყვარელი თვალის ექიმი ქ-ნი ნინო მჭედლიშვილი იგონებდა იმ წლებს – მისი ერთადერთი და საყვარელი ძმა ბიძინა მჭედლიშვილი თეატრის დიდი მოყვარული ყოფილა. მონაწილეობას იღებდა თეატრალურ წარმოდგენებში, უკრავდა სასულე ორკესტრში. 1936 წელს ის დაუნიშნავთ სარაიონო ბიბლიოთეკაში. იმ დროს ის 16 წლის ყოფილა. ქ-ნი ნინო იგონებდა, როგორ მუშაობდა მისი ძმა დავით მჭედლიშვილთან ერთად ბიბლიოთეკაში. 1940 წელს ბიძინა მჭედლიშვილი მოხალისედ წავიდა ომში. სახლში დაუტოვებია თავისი ნახატები, რომლებიც შემდეგ დაკარგულა. ეს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა კაცი, სამწუხაროდ პირველსავე თვეებში ტყვედ ჩავარდნილა ქ. ბრესტში.

ცნობილი ქართველი მწერალი ალ. კალანდაძე თავის წიგნში „მაკიზარებთან“ იხსენებს მასთან მასთან შეხვედრას ომის დროს. ამის შემდეგ ბიძინას კვალი იკარგება. მისი მუდმივი ძებნის მიუხედავად, მის შესახებ ვერაფერი გაიგეს და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩათვალეს. ომიდან ის ცოცხალი არ დაბრუნებულა და ოჯახისთვის შინმოუსვლელად იქცა.

ბიძინა მჭედლიშვილმა ომში წასვლის წინ ბიბლიოთეკა გადააბარა მანანა მჭედლიშვილს, რომელიც მანამდე კოჭბაანის ბიბლიოთეკაში მუშაობდა.

ვინ იყო მანანა ვასილის ასული მჭედლიშვილი?

ბევრ საგარეჯოელს დღესაც ახსოვს იგი. 1990 წლამდე ის საგარეჯოს რაისაავადმყოფოში მუშაობდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექთნად. ბიბლიოთეკაში მან იმუშავა 1942-1943წწ-ში. შემდეგ მან დაამთავრა საექთნო კურსები და ისიც მოხალისედ წავიდა ომში. 1943 წელს ცნობა მოვიდა, თითქოს ის დაიღუპა. სინამდვილეში მანანა მჭედლიშვილი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს და საფრანგეთში, ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს. რამდენიმე ხნის სემდეგ ფრანგმა პარტიზანებმა იგი ბანაკიდან გააპარეს და საფრანგეთში გადამალეს. პირადად მქონდა ხშირად საუბრები მანანა მჭედლიშვილთან, რომელსაც ერთი ახლობლის ოჯახში ვხვდებოდი. მისი ისტორია მართლაც საინტერესოა. ბედმა ის მიიყვანა ცნობილ ქართველ მეცნიერ ექვთიმე თაყაიშვილთან, სადაც ფრანგმა პარტიზანებმა მანანა გადამალეს. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც ვიცით პატრონობდა მენშევიკების დროს საქართველოდან გატანილ განძს. მანანა ეხმარებოდა მას განძის მოვლა-პატრონობაში. ეს ძირითადად ამ განძის აღწერილობას შეეხებოდა. ბიბლიოთეკაში მიღებული გამოცდილება მანანამ იქაც გამოიყენა და განძის აღწერილობასა და თემატიკურად დალაგებაში დიდი დახმარება გაუწია ექვთიმე თაყაიშვილს. ის აკეთებდა სხვადასახვა ჩანაწერებს, რომლსაც ბ-ნი ექვთიმე კარნახობდა. აწერინებდა წერილებს, ფრანგულიდან ქართულ თარგმანებს.

ომის დამთავრების შემდეგ, როცა ი. სტალინის დიდი ძალისხმევით ე. თაიყაიშვილი და ეროვნული განძი საქართველოში დააბრუნეს, მანანა ხშირად ჩადიოდა თბილისში ბ-ნ ექვთიმესთან სახლში და მოხუცს ეხმარებოდა რაც შეეძლო.

მანანა ომის შემდეგ ცოტა ხანს ისევ ბიბლიოთეკაში მუშაობდა, შემდეგ კი საავადმყოფოში გადავიდა პენსიამდე. მანანა მჭედლიშვილთან ერთად ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ ანა ბედიაშვილი და შალვა კახიანი. ეს ის პერიოდია, როცა ბიბლიოთეკაში უკვე ორი და სამი თანამშრომელიც მუშაობდა. აქვე ვიტყვი, რომ სარაიონო ბიბლიოთეკას 1947-1948 წლებში ხელმძღვანელობდა ნათელა ჯაფარიძე, 1948-1949 წწ-ში – ციალა ტიგინაშვილი, 1950-1951წწ-ში – ვ. ჯეირანაშვილი, 1951-1952წწ-ში – ციალა ილაური, 1952-1953წწ-ში – ეთერ ჭინჭარაძე.

ლია ურდულაშვილი,
საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

გაბრძელება იქნება

სოფელ კოჭბანში ახალი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **გიორგი ერგოფონაშვილმა,** მერის მოადგილემ **ალეძი გილაშვილმა**, საკრებულოს თავჯდომარემ **ოთარ ჩალათაშვილმა,** ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან და აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ გაერთიანების ხელმძღვანელ **ელზა გილაშვილთან** ერთად სოფელ კოჭბანში ახალი-თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში გახსნა.

ჩვენი შუმ პირები

ერთი ლამაზი დღე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, 13 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ექსკურსია მოეწყო. ბავშვებმა მშობლებთან ერთად ქანდის ცამეტი ასურელი მამის სახელობის და ჯვრის მონასტრები მოილოცეს. ბავშვები მამა სერაფიმემ დალოცა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა. მსგავსი აქციები კვლავ იგეგმება, რადგან ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს ბავშვების ცხოვრების გამრავალფეროვნებას და მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციას.

ძიუდო

კასპის ტატამზე

5-6 ოქტომბერს ქ. კასპში ჩატარდა მალხაზ კუბლაძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, რომელშიც ქვეყნის სხვა რეგიონების მოჭიდავეებთან ერტად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ საგარეჯოსა და გიორგიწმინდის საჭიდაო წრეების ძიუდოისტები.

მათგან ტურნირის ჩემპიონი 46 კგ წონით კატეგორიაში გახდა გიორგიწმინდის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელი დავით კევლიშვილი. 30 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ოთარ ოდიკაძემ (საგარეჯო). ტურნირის III პრიზიორები 26 კგ-ში გახდნენ ალეკო ბეჟიაშვილი (გიორგიწმინდა) და საბა ოდიკაძე (საგარეჯო). ასევე III საპრიზო ადგილები დაიკავეს საგარეჯოს ჭიდაობის წრის აღსაზრდელებმა ვახო ჭიაბერაშვილმა (34კგ), ონისე ბორაშვილმა (38კგ), გიორგი კურდღელაშვილმა (46კგ), მიხეილ ყორღანაშვილმა (46კგ), თენგო მაისაშვილმა (50 კგ) და თენგო ხებრელაშვილმა (81კგ).

ტოპონიმები

სათივარა

ამდინარე თვალთხევის სათავე აუზიის წყალგამყოფ შემაღლებიდან, რომელსაც გადმოკვეთდა “ლაფიან ხევის” აუზიდან ამომავალი თელავისკენ მიმავალი გზა, “სათივარა” ეწოდება. აქ მდებარეობს ნაყოფიერი სუბალპური ველები, რომელიც უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ქართველი ტომებით დასახლებულ სოფელს. ამის დამადასტურებელ ნიშანს წარმოადგენს პატარა, ბაზილიკური ტიპის ეკლესია და ის აუარებელი ნასახლარები და სამაროვანნი, რომლებიც აქ გვხვდება.

“სათივარა” მეოცე საუკუნის 50–იან წლებამდე სასოფლო–სამეურნეო თვალსაზრისით წარმოადგენდა პატარა მთის სოფელ– ჟატის კუთვნილ აგარაკ–მინდორს, სადაც ჟატელი კოლმეურნეები თესდნენ კარტოფილს, სიმინდს და სხვა სასოფლო–სამეურნეო კულტურებს, აბალახებდნენ ცხვარსა და მსხვილფეხა პირუტყვს, თიბავდნენ თივას.

2003 წლის გაზაფხულზე ვესაუბრე ჟატელ ქალბატონს–ნინოს, რომელიც ჟატიდან გამოთხოვილი იყო საგარეჯოს მკვიდრ კაკო (აკაკი) ქვლივიძეზე. მან მიამბო ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ: გასული საუკუნის 50–იან წლებში, მიწის სამუშაოების დროს ჟატელმა კოლმეურნეებმა აღმოაჩინეს ერთი ქვაყუთის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა 11 ადამიანის ჩონჩხი. სავარაუდოდ ეს მიცვალებულები ერთი ოჯახის წევრები იყვნენ და რადაც მოარულმა ეპიდემიამ, ან მტრის მსახვრალმა ხელმა მოუღო მათ ბოლო, რაც იმაზედაც მეტყველებდა, რომ უხსოვარ წარსულში აქ ხალხმრავალი სოფელი ყოფილა. ისე, აქ ეკლესიას არავინ ააშენებდა. ნამოსახლარები მრავლად შეინიშნება წყალუხვ თვალთხევის მთელ უბანში. სხვადასხვა დროში და ეპოქაში აქ უცხოვრიათ ამაყ, ულამაზეს, მშრომელ და თავმოყვარე ქართველებს, რომლებიც იცავდნენ სამშობლოს, ქმნიდნენ ხვავსა და ბარაქას, ედემის ბაღად აქცევდნენ ბარაქიან ხეობას.

ქალბატონმა ნინო თურმანაულმა ის საგვარეულოებიც ჩამომითვალა, ვინც აქ ცხოვრობდნენ გასული საუკუნის 50–იან წლებში. აი, ისინიც: გიგაურები, წითელაურები, ბეწუკაშვილები, თურმანაულები, ხადულაშვილები, ფეტვიაშვილები, ბადრიაშვილები, პატარაშვილები, კეჟერაშვილები, თიღილაურები, დიდმელიშვილები, ღვთისიაშვილები.

ამ პატარა სოფლის–ჟატის კუთვნილი სავარგულები იყო სათივარა, მლაშე ველი, საღორეები,პატარა მინდორი ხაჯაგები, ზედა მთა, სახაშმო, სამების ნაწილი, ნაქალაქარი. თავად ნასოფლარი– ჟატი დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა–ფშაველას ინიციატივით იყო ჩამოსახლებული მცირე მიწიან ფშავიდან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს სოფელი მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან ძალით იქნა გადასახლებული სართიჭალის, ხაშმის და სამგორში დასახლების ახალ სოფლებში.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ზურაბ აგულაშვილსა და თამარ ყუშიტაშვილს დედისა და დედამთილის

მანანა მჭედლიშვილი-აგულაშვილის

გარდაცვალების გამო.